



[RSS](#)

 

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / არასამთავრობოები პრეზიდენტს საყდრისში სამუშაოების შეჩერების მოთხოვნით მიმართავენ  
17.12.2014

# არასამთავრობოები პრეზიდენტს საყდრისში სამუშაოების შეჩერების მოთხოვნით მიმართავენ

[საყდრისი, გიორგი მარგველაშვილი,](#)  
[მიშა მეფარიშვილი](#)

არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეები საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მიმართავენ, რომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული კონსტიტუციური მექანიზმი და დაუყოვნებლივ შეაჩეროს საყდრის მადაროს ტერიტორიაზე მიმდინარე მიწის სამუშაოები. განცხადებას უცვლელად გადავარდობთ.

"არასამთავრობო ორგანიზაციები, მოქალაქეები, მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს, არ დაუშვას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და საერთაშორისო კონვენციებით აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპების დარღვევა, გამოიყენოს მის ხელთ არსებული კონსტიტუციური მექანიზმი, რათა დაუყოვნებლივ შეჩერდეს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ნგრევის პროცესი.

2014 წლის 12 დეკემბრის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03/266 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2/271 ბრძანების საფუძველზე კომპანია "არემჯი გოლდმა" განაახლა სამთო-მოპოვებითი სამუშაოები საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე.

საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტის შესახებ მიმდინარეობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა (საია, მწვანე ალტერნატივა) და კერძო პირების სამართლებრივი დავა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კომპანია არემჯი გოლდის წინააღმდეგ. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 3 ივნისს არემჯი გოლდს შეუჩერა მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება საყდრისი-ყაჩაღიანის სალიცენზიო უბანზე; 2014 წლის 13 ივნისს კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც საყდრისის მადაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა, ბათილად ცნო და განსახილველად სამინისტროს დაუბრუნა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასართლოში გაასაჩივრა. თუმცა აღარ დაელოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის ბათილად ცნობის შესახებ. ამით საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მადაროს კვლავ დაუბრუნა უძრავი ძეგლის სტატუსი, რომელიც 2014 წლის 12 დეკემბერს პარასკევს საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მადაროს კიდევ ერთხელ მოეხსნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გამართული

სხდომის შემდეგ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით.

მეორე დღესვე, 2014 წლის 13 დეკემბერს, შაბათს, კომპანია არემჯი გოლდმა განაახლა ფართომასშტაბიანი აფეთქებითი სამთამადნო სამუშაო საყდრისი-ყაჩაღიანის სალიცენზიო უბანზე. ზემოთ ხსენებული სახელმწიფო უწყებების მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებული იყო გაუმჭვირვალედ, არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის სრული უგულებელყოფით.

ამ ეტაპზე, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს ბორცვი თითქმის მონგრეულია. მასზე მიმდინარეობს 24-საათიანი მსხვილმასშტაბიანი სამთო-მოპოვებითი სამუშაო. მეცნიერთა არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, იქ არ უშვებენ მონიტორინგის ჯგუფს. საზოგადოებრივი პროტესტსა და მოთხოვნას სამინისტროს, სააგენტოსა და კომპანიის მაღალჩინოსნები არ პასუხობენ.

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ: კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მატანია, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობაა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია.

საყდრისი-ყაჩაღიანი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს, რადგან მასზე არსებული გამონამუშევრების კვალი თარიღდება არაუადრეს ძვ.წ.ად-ის III ათასწლეულისა. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ნგრევა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, კულტურის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, მოქმედ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებს არაკანონიერად და არაკონსტიტუციურად მიაჩნიათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03/266 ბრძანება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2/271 ბრძანება, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში საეჭვო გარემოებებში გამოიკა და რომლის საფუძველზეც არქეოლოგიური ობიექტის დაშლა (აღების) სახელით საყდრისი-ყაჩაღიანში უკანონოდ მიმდინარეობს მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები. შედეგად, კერძო კომპანიის სასარგებლოდ მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილებით კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართულ განადგურებას აქვს ადგილი", - წერია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ არასამთავრობო ორგანიზაციები: „მწვანე ალტერნატივა“; საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი; „მწვანე მუშტი“; „ძეგლის მეგობარი“; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; „მემკვიდრეობა“; კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN; ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი ICOMOS; „აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და ხელოვნების საბჭო“ (EPACC); „იბერიანა“; ფონდი ტასო; რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია; ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი; სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი; ინფორმაციისა და თავისუფლების ინსტიტუტი; ლიბერალური აკადემია; მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის; ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია; საერთაშორისო ფონდი "ლეა"; ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი; საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი"; კულტურულ ურთიერთობათა ცენტრო – კავკასიური სახლი; ადამიანის უფლებათა ცენტრი; ასოციაცია "ტოლერანტი".

კომპანია „RMG“-მ 13 დეკემბერს საყდრისი-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განახლებას. კომპანიამ სამუშაოები 2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03/266 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2/271 ბრძანების საფუძველზე განაახლა. განახლებული სამუშაოების ფარგლებში საყდრისში ორი აფეთქება განხორციელდა.

საყდრისის ძეგლი 2006 წლიდან 2013 წლის 5 ივლისამდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებდა. 2013 წლის 5 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით მას არქეოლოგიური ძეგლის სტატუსი მოეხსნა. ხოლო პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით, არქეოლოგიური ძეგლის სტატუსის გარეშე დარჩა.

RMG Gold- ის მიერ საყდრისში სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლო დავა მიმდინარეობს. სასამართლომ RMG-ის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საყდრისში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების ჩატარების უფლება არ [მისცა](#).